# სახალხო გაზეთი

№ 399 სამშაბათი, 13 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 319

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წლის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებებ—ი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ს. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: [illegible] ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ენკენისთვის 18-ს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრით

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

„საზოგადოების" გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც კი თანაუგრძნობს სახალხო განათლების საქმეს, მოგვაწოდოს შემოწირულება ფულით თუ ნივთებით გამგეობის კანცელარიაში. სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა, გამგეობა სთხოვს შემომწირველთ შემოწირულების გადაცემის დროს ბარათი მიიღონ იმისგან, ვისაც გადასცემენ ნივთს თუ ფულს. (7—1492—2)


## დ. ყვირილაში

„ორპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე" აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად

## „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.


17 სექტემბერს, შაბათს, დაბა სურამში, სოფელ იტრიის ეკლესიაში გადიხდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

მარიამ (ა. წერეთლის ასულის) ჩიმაკაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქმარი გრიშა ჩიმაკაძე. (1.811.1)


### მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ 1 ოქტომბრამდე

## არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა მე-4 წიგნზე

„წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან" 1901-2 წ."

ფასი ხელის-მომწერთათვის 35 კაპ.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—138)

◀ ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ▶

ამით აუწყებს ყველას, ვისაც კი სურს

## თავის გამოცდა სცენაზე,

რომ გამოსაცდელი წარმოდგენა დანიშნულია სექტემბრის 21-თვის.

მსურველნი მიჰმართამენ რეჟისორ გლ. ალექსი მესხიშვილს ყოველ დღე შუადღის 12 საათ. ქართულ თეატრში. (2—810—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დადიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ., ღარიბებთ წასულად.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი ზ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. ღარიბებთ წასულად.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. ღარიბებთ წასულად.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—554)

ძმ ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 15 ენკენისთვეს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ ქ-ნი დეკანოზიშვილისა და შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოდგენ. იქნება:

1) ბრჭყალები, დრამა 3 მოქ. პოლ-ერვიეხი, თარგ. ი. მაჭავარიანისა.

შალვა დადიანი გაიცნობს საზოგადოებას პიესის შინაარს.

2) არიფ-დარია, ვოდ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი მ. გოგოლაშვილი, დავითაშვილი, ქართველიშვილი; ბ-ნნი გ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, შ. დადიანი, ა. მეტრეველი, ქ. ზახანაშვილი, ნ. ჭამკვეტაძე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 10—2 ს. საღ. 6—9 ს.-დე. ადმინისტ. ან. ქიაბერაშვილი. რეჟის. ა. წუწუნავა. დასაწყ. საღ. 8 ს. (2.1496.1)

## დ. ყვირილაში (სადგურის პირდაპირ)

შევუდექით ჩვენ საკუთარ შენობის გადაკეთებას და ამიტომ ვნიშნავთ 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე

## დიდ იაფობას

ფართლეულობისა და შალეულობის საქონელზე.

ფასები დაკლებულია 20—30%-დე.

(8.1498.1)

პატივისცემით სერგო ნებიერიძე.

**ნათლობა** ამა წლის ენკენისთვის 18 და 19 ს, კვირას და ორშაბათს), სადილად, 12 საათზე, მაქვს დანიშნული ქალ-ვაჟის ნათლვა; ამისათვის გთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდეთ ზემო-აღნიშნულ რიცხვს ს. მერიაში (სადგ. ნატანების და ოზურგეთის შუა, გზა, გურიაში), და გაინაწილოთ ჩემი მაიარულება, რისთვისაც დავშთები თქვენგან დიდად პატივცემული და დავალებული. (ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, თვითოეულად წერილობით რომ ვერ დავპატიჟე.

(3.1499.1)

აზნ. ბარნაბ იესეს ძე კობალაძე.

ტფილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქ. ყოენტის სახლი N 18)

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა, კონტრაბასისა, სიმღერისა (solo) და თეორიისა და ნოტების კითხვისა (solfegio) კლასებში დაიწყება 25 აგვისტოს, დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—ქ. მ. კნ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგპივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ფოგელისა და თ. ს. შაბუროვისა. სკრიპკა—ა. ნ. ყარაშვილი. ვიოლონჩელი—ე. ნ. კაპელნიცკი, კონტრაბასი—მ. ი. შერშოვი, სიმღერა (solo) ე. მ. ბროჯი, ელემ. თეორია, ნოტები. კითხვა, გარმონია და ენციკლოპედია—ზ. პ. ფალიაშვილი, ხორის კლასი—ნ. პ. სულხანიშვილი. ახლად მოწვეულია სკრიპკის უფროსი მასწავლებელი თავისუფალი ხელოვანი მ. ტ. ვახალთევი (ამასთან ფასი 70 მ. წელიწადში, სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელისა და კონტრაბასის კლასებში 60 მ. წელიწადში, მხოლოდ სიმღერა (solo) 75. სათეორიო კლასებისა 15 მან. წელიწადში. ფულის გადახდა მოხდება ნახევარი წლობით წინ და წინ, ე. ი. სწავლის დაწყებისა თანავე, სექტემბერში და იანვარში. ამ ზემო აღნიშნულ დროსვე მოხდება ხმის გასინჯვა იმ პირთა (ქალთა და ვაჟთა), რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ფასით ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში არსებულ მგალობელთა გუნდში.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. (10.1463.6)

ა. შ ნწიაშვილის

## „შვების თავადი"

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ." ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან. საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## =სამკერვალო სკოლაში=

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს. საკერავის კლასებში არც ერთ განყოფილებაში ადგილი აღარ არის, მხოლოდ ჭრა-კერვის კურსებზედ შეიძლება მიღება მოზდილ ქალებისა (16 წლიდან 30-მდე). 15 სექტემბრიდანვე მიიღებენ შესაკერად კაბებს იაფად.—გაბაანი ქუჩა, № 3, ვერა. (5—1488—4)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა

## აძლევს იჯარით

სოფელ საგურამოში ილიასეულ მამულს. განცხადება იჯარის აღების შესახებ მიიღება მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში. პირობებისა და დაწვრილებით ცნობების შეტყობა მსურველს შეუძლიან ამგეობის წევრთან ა. თ. ყიფშიძესთან (დეპუტატთა საკრებულოში, პელ. ქუჩა). (3.1491.3)

## ექიმი მიხეილ ალაჯანოვი

სპეციალისტი საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებათა

## დაბრუნდა,

და ავადმყოფთა მიღება განაახლა ნაშუადღევის 1—4 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 38, ტელეფონი 663. (10—1496—1)

**ექიმი** ვ. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 29, ტელეფონი N 1067. (100—1117—11)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—105)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

თოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალაბეგაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—95)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ი. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. ხვანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მაჭელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ზ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წთ.—1090—156)

**ექიმი** ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჯანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—26)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მესამ. N 5.

**ექიმი** ი. ვაშაკიძე —იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (5—133)

მედიცინის დოქტორი

## ი. გ. ჩუდნოვსკი

კიროჩნი ქ., სახ. № 13, ტელეფონი 1090 ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე დილის 9—11 ს. საღამოს 5—8 ს.-მდე. (20—1420—18)

## ექიმი გ. მ. ლოლოშვილიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი.

იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე.

კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—30)

**ექიმი** ზ. ნ. მაზაქიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—24

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად, მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.

**ექიმი** ივ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20.

(თ.—813—1)




(25—1456—13)


## ადგილობრივი პრესა

საქალაქო არჩევნების გამო გაზეთმა „თემმაც" გამოსთქვა თავის აზრი. როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ისევ ორჭოფულ პოზიციას დაადგა, ხან ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფისკენ გადაიხარა და ხან „ახალი ჯგუფისკენ". მოსალოდნელი იყო ასეთი პოზიცია, რადგანაც წინადაც ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ „თემი" ინტერნაციონალიზმს გაჰკეკლუცებია, როგორც ლამაზი ქალი უკეკლუცდება ხოლმე თავის თავს სარკის წინ. გაზეთი „თემი" აღნიშნავს, რომ ტფილისში დაარსდარა ჰდენიმე ჯგუფი ამომრჩევლებისა და სცდილობს თვითოეულის მათაგანის დახასიათებას. მოკლეთა და სხარტლად ახასიათებს ამ ჯგუფებს „თემი", მაგრამ ამ მოკლე დახასიათებაშიც ნათლად გამოსჭვივის ტენდენციური შეფასება. ჩვენს ყურადღებას იქცევს განსაკუთრებით „ქართველ ამომრჩეველთა" და „ახალი" ჯგუფის დახასიათება. აი, რასა სწერს ამ ჯგუფის შესახებ გაზეთი „თემი".

3. ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი, (იგულისხმეთ: შესდგა) რომელსაც შეადგენენ ქართველი ინტელიგენტები, წვრილი ვაჭრები და ზოგიერთი დემოკრატიული ელემენტები". 4) „ახალი ჯგუფი“, რომელსაც ეკუთვნიან **მართლ** დემოკრატიული ელემენტები. საზოგადოებაში ამით უწოდებენ აგრეთვე პროგრესიულ დემოკრატებს. თუმცა ამ ჯგუფში შედიან **სხვა და სხვა ჯურის** ხალხი, მაგრამ მათ აერთებს **გულწრფელი** დემოკრატიზმი. (კურსივი ყველგან ჩვენია.

მაშ ასე, ერთის მხრით ქართველი ამომრჩეველნი, რომელნიც ვაჭრებსა და **ზოგიერთ** დემოკრატიულ ელემენტებისაგან შესდგება და, მეორის მხრით, „ახალი ჯგუფი“, რომელიც თუმცა **სხვა და სხვა ჯურის** ხალხისგან შესდგება, მაგრამ მაინც **წმინდა** დემოკრატიულია, ალბათ თავის **გულ-წრფელობით**. ტენდენცია ცხადია. „თემი“ უპირატესობას აძლევს „ახალ ჯგუფს“, თუმცა ვერავითარი დამახასიათებელი განმასხვავებელი თვისება ვერ აღმოუჩენია ამ ორ ჯგუფს შორის, გარდა იმისა, რომ „ახალი ჯგუფი“-ს დემოკრატები „**გულწრფელი**“ დემოკრატები არიან. ამისთანა არგუმენტაციას კი კარგად იცნობს მკითხველი, იგი „მნათობი“-ს არგუმენტაციაა. რაც უნდა დემოკრატიული იყოს მოქმედების გეგმა „მნათობი“-ს მოწინააღმდეგებისა, ისინი მაინც სოვდაგრების ინტერესების დამცველად მონათლავენ, რადგანაც მშრომელ ხალხის ინტერესების გულწრფელ დამცველებად მათ მხოლოდ თავიანთი თავი მიაჩნიათ. ჩვენს გაზეთში ამის თაობაზე უკვე სწერდა ჩვენი თანამშრომელი არ. ჯ-შვილი, და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ ერთხელ კიდევ, რომ თუ ვისმეს ეჭვი შეაქვს ვისიმე გულწრფელობაში, ეს კიდევ იმის მომასწავებელი არ არის, რომ იგი მართლა გულწრფელი არ არის.

გაზეთი „თემი“ ვერ მიმხვდარა, რად მოისურვეს ქართველებმა ცალკე საარჩევნო ორგანიზაციის დაარსება. მაგრამ თავის მეთაურს რომ მაინც ჩაჰკვირვებოდა, მიხვდებოდა, რომ ასეთი ორგანიზაციის დაარსება აუცილებლად საჭირო იყო.

„არ შეიძლება არ აღინიშნოს, სწერს „თემი“,—რომ ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი შესდგა სწორედ იმ დროს, როდესაც ეროვნული დროშის აფრიალება საქალაქო არჩევნებში საძრახისად (თუ არა სახარგებლოდ?) მიაჩნიათ სომხის ერის თვით იმ ელემენტებსაც, რომელნიც ამ ეროვნული ფერადებით ჰღებავდნენ აქამდინ ტფილისის საქალაქო არჩევნებს. ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ ეროვნული პრინციპი ამ სფერაში სრულებით უკუგდებულია ამათგან, არა!.. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საჯაროდ დღეს ამგვარი ლოზუნგი არ წამოუყენებიათ და **ესეც ხომ დიდი საქმეა**.

დიახ, დიდი საქმეა, მხოლოდ ვისთვის ან რისთვის? ისინი, ვისაც დღეს „თემი“ ექომაგება, ლოზუნგებს ვერ ეთვისებიან, ლოზუნგებით არ იბრძვიან. ისინი ჩუმად სხედან, თუ დასჭირდებათ, „თემი“-სა და „მნათობი“-ს მსგავს ინტერნაციონალისტებს შუბლზე ხელს გადაუსვამენ, ნიშნად ღრმა პატივისცემისა, და არჩევნების დროს ყველას, ვინც კი ქუაში არ მოსდით, შავს კენჭებს ჩაურახუნებენ. „თემს“ ეს დიდს საქმედ მიაჩნია. იყოს ნება მისი; მაგრამ ჩვენ ასეთი კეკემალულობა ვერ დაგვაკმაყოფილებს. თუ ქალაქის თვითმმართველ იბის ეხლანდელი ბატონ-პატრონნი „ქალაქის თვითმმართველობის საქმეებს ეროვნული ფერადით ჰღებავენ“, ჩვენ პირდაპირ ვამხელთ ამას და შესაფერ ზომებსაც მივიღებთ, რამდენადაც ძალა და ღონე შეგვწევს, რომ მომავალში მაინც ვიღას „შეჰღებენ“.

სწორედ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ უწინდელ დემოკრატიულ ჯგუფს და ეხლანდელ „ახალ“ ჯგუფის მოქმედებას ვერ ვიზიარებთ. ამ ჯგუფების ორჭოფული მდგომარეობა, ვითომც ინტერნაციონალურ პრინციპების დაცვა, ხელს უწყობს „მღებავთა“ ნაციონალისტურ პოლიტიკას. ეს ინტერნაციონალისტები თავისი არც ინტერნაციონალიზმით აბნელებენ იმ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ეხლანდელი მეთაურნი მისდევენ.

მისთანა არა ნორმალურ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ ამომრჩეველთა შეკავშირება არა მხოლოდ ქართველ ხმოსანთა კანდიდატების დასასახელებლად, არა ვიწრო ნაციონალისტურ კომპანიის გასაწევად, როგორც ამას ჩვენი მოწინააღმდეგნი გვწამებენ, არამედ მხოლოდ ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, როდესაც ქართველთა ინტერესების აბუჩად აგდებასა და სომხის ნაციონალისტურ ბურჟუაზიის თარეშობას ადგილი აღარ ექნება.

ბუკსა და ნაღარასა სცემს მხოლოდ ის, ვინც თავიდანვე ვიწრო ნაციონალისტურ ნიადაგს და ამ ნიადაგის ფეხიდან გამოცლისა ეშინიან, თორემ პრეტენზიები ქართველ ამომრჩევლებისა ყოვლად მცირე და ყოვლის მხრით შესაწყნარებელია. რაიც შეეხება ახალ ჯგუფთან შეკავშირებას, პრინციპიალურად ეს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ინტერესებს სრულიად არ ეწინააღმდეგება, და თავის დროზე „ჯგუფს“, უეჭველია, ამის თაობაზედაც ათათბირებს...

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ ქალაქის მოურავმა განკარგულება მოახდინა, რომ ტფ. ყველას **სასეირნო ბაღები**, რომლებიც სამხედრო წესების დროს დაკეტილი იყო, უეჭველად გაღებულ იქმნენ დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**ხილეულობის გამოფენის** საორგანიზაციო კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზე დაადგინა 1) შუამდგომლობა აღძრას მიწადმოქმედების დეპარტამენტის წინაშე ფულით დახმარებისა და გამოფენაზე ერთის სპეციალისტის გამოგზვნის თაობაზე, 2) გამოფენასთან ერთად მოაწყოს ლექციები ხილეულობის მოვლაზე და 3) გამოფენისთვის იშოვოს ფართო შენობა, სადეკორაციო ნაწილის მოწყობა საბაღოსნო სასწავლებელმა მიიღო.

✦ **თავისუფალია ადგილი** ავჭალის წყალსადენის გამგისა, რომელსაც წელიწადში 2,400 მან. ექნება ჯამაგირად. მთხოვნელი ჯერჯერობით 9 კაცია. მსურველთ ტფილისის ქალაქის გამგეობას უნდა მიჰმართონ.

✦ **ქალაქის სასანიტარო ინსპექტორი** გ. ნ. სტეფანოვი 2 თვით დასასვენებლად ტფილისიდან წავიდა.

✦ **საუღელტეხილო გზის** ადგილობრივ გამოსაკვლევად პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა საგანგებო კომისია რკინის გზების გამყვან ინჟენერ ე. დ. ვურცელის მეთაურობით.

✦ **ტფილისში შეიპყრეს** გორის მაზრის სოფელ ავლევის მცხოვრები იასონ სოლომონის ძე ჯახკელაძე, რომელიც ადმინისტრაციულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ **ტუსაღის გაქცევა**. 11 სექტემბერს გაიქცა სამუშაოზე გაყვანილი საგუბერნიო ციხის ტუსაღი ჰუსეინ აბას ოღლი, რომელსაც ერთის წლის ციხე ჰქონდა გადაწყვეტილი.

✦ **სასანიტარო დათვალიერება**. 27 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე პოლიციამ სანიტარულის მხრივ დაუთვალიერებია 595 სახლი და 265 სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება. სასანიტარო წესების დარღვევა აღმოუჩენია 15 სახლში და 2 სავაჭრო დაწესებულ ბაში.

✦ **ექსკურსია აშაგა სერალში**. დღეს, 13 სექტემბერს, საღამოს 5 საათისათვის რკინის გზის სადგურზე შეიკრიბებიან კავკასიისა და ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წევრები, რომელნიც მანთაშევის მამულში მყოფ „შაოანუგის“, ნავთის მოტორიან გუთნის დასათვალიერებლად და შესასწავლად სად. აშაგა-სერალში გაემგზავრებიან. მათ თან ახლავთ დიღმელ გლეხების სამი წარმომადგენელი. როგორც ვიცით დიღმელებმა სურვილი განაცხადეს და ქართულ სამ. საზოგადოების საბჭომ დაადგინა თავის ხარჯით სამი გლეხი წაიყვანოს.

✦ ნაგურსკისა და ლ. ყიფიანის საქმის გამო კარგად ცნობილმა საბჭოს წევრად ნამყოფმა **სერგეი ზურაბის ძე მირზოევმა** ქალაქის გამგეობის დერეფანში ვიღაც მანუელიანცს სილა გაარტყა. აუარებელი მაყურებელი შეიკრიბა. პოლიცია ჩაერია და საქმე ოქმის შედგენით გათავდა.

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ** უკვე მოაწერა ხელი თავად-აზნაურობასთან ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულობის ძალით თავად-აზნაურობა თეატრის შენობას განათებითა და გათბობით საზოგადოებას უფასოდ უთმობს. გამგეობამ კი „ახალ კლუბთან“ ხელშეკრულება დასდო, კლუბს საოჯახო საღამოებისათვის კვირაში ორი დღე დაეთმობა და რაშიაც დრამატიულ საზოგადოებას 12 ათას მანეთს აძლევს თვეში.

✦ **რევოლვერით თავი მოიკლა** ნადეჟდინის ქუჩაზე მცხოვრებმა კოლეჟ. სოვეტნიკის ალექსანდრე ვერიცის ქალმა-თამარამ. მიზეზი ოჯახური უთანხმოება ყოფილა.

✦ **თავის ჩამოხრჩობა** 11 სექტემბერს პირველ გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლემ ივანე აროუთინსკი-დოლგორუკოვმა, რომელიც თავის მამის ბინაზე ცხოვრობდა, მამის კაბინეთში თოკით თავი ჩამოიღრჩო. მიზეზი არ იციან.

## წვრილი ამბები.

✦ უკვალოდ დაიკარგა გეურქ დანიელის ძე ტერ-ხაჩატუროვი.

✦ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა მუშტაიდში წესრიგის დასაცველად პოლიციელნი საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე მორიგეობდნენ.

✦ 9 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს მეექვსე მსროლელთა პოლკის გაქცეული ჯარის კაცი გერასიმ კუზინი.

✦ 11 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს 24 უპასპორტო, ხოლო 10 სექტემბერს—114.

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ **ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტს** ამას წინად მეორე კლასისათვის გამოცდილ და უადგილობისა გამო გარედ დარჩენილ ბავშვთა მშობლებმა საერთო თხოვნა მისცეს, პარალელური განყოფილება გახსენით, რომ შვილები სკოლის გარედ არ დაგვრჩნენო. **დღეს გამგე კომიტეტს სხდომა აქვს** და, სადაც, სხვათა შორის, ამ თხოვნასაც განიხილავს. იმედია, კომიტეტი ჯეროვანის გულისხმიერებით მოეკიდება ამ თხოვნას, მით უმეტეს, რომ მეორე კლასში 14 მოწაფე მოკარბებული ყოფილა (40 უნდა იყოს ახლა კი 54 აა), ახალად მიღებულნიც 14 ბავშვია, სულ პარალელურ განყოფილებაში 28 მოწაფე იქნება.

✦ შაბათს, 10 სექტემბერს, თავ. დ ე. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით **სას. სამ. საზოგ. საბჭოს კრება მოხდა**. კრებამ დაადგინა, ი. ქუონიას და თავ. ი. ლ. ჯანდიერს წიგნების შემოწირვისათვის მადლობა გამოეცხადოს. კარდანახელების თხოვნის გამო, რომ მათ ამერიკულ ვაზის სანერგის გამართვაში დახმარება გაუწიონ, საზოგადოებამ დაადგინა: ცნობების შესაკრებად გ. დაფქვიაშვილი გაიგზავნოს, და მოხსენების წარდგენისას ბჭობა იქონიოს, კრებამ დაადგინა, სთხოვოს წევრებთ და იმ პირთ, რომელთაც ხელზე აქვთ წაღებული საზოგადოების საკვიტანციო წიგნაკები, უკანვე დააბრუნონ. შემდეგ კრებამ მოიწონა და დაამტკიცა რედაქცია მოწოდებისა კახელებისადმი, რომელიც ამერიკულ ვაზის გაშენებას და ფილოქსერასთან საბრძოლველ ღონისძიებას ეხება.

✦ ქარ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა **საზოგადო კრება** ენკენისთვის ბოლო რიცხვებში მოხდება.

## სასამართლო

✦ **ეკატერინოდარში**. ქართველ გეგიასა და მაღნაძეს სამხედრო სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ციხიდან გაქცევისა და დარაჯთა მოკვლის განზრახვისთვის.

## რკინის გზა

✦ **სად. შორაპანი**. 11 სექტემბერს დილის ათ საათზე შავი ქვის ვაგონეტკამ მძიმედ დააშავა შავი ქვის მუშა პავლე ფერაძე. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

## ქუთაისი

✦ **ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის სხდომას** გადაუწყვეტია, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, მსესხებელთ 1% მაგივრად ახდევინონ 3/4% საცა მათ სესხის მიღების განცხადება შეაქვთ, ამას გარდა სოფლის მამულებ. ბანკის მართვა-გამგეობისთვის მიმავალი 1 იანვრიდან 3/4% მაგივრად 1/2% წელიწადში გადახდებათ.

✦ **ქართულ გიმნაზიის ადმინისტრაციას** განცხადება გამოუკრავს, რომ ის მოსწავლენი რომელნიც 20 ენკენისთვემდე არ გამოცხადდებიან და სწავლის ფულს არ შეიტანებენ, სასწავლებლიდან გამორიცხულნი იქნებიან. როგორც გავიგეთ, ქართულ გიმნაზიაში შემსვლელთა მსურველნი დაბალსა და უფრო კლასებში მრავალია.

## ბათომი

✦ გუშინ, 9 სექტემბერს, ტფილისიდან **დაბრუნდა ქალაქის თავი თავ. თ. ზ. ანდრონიკაშვილი**, რომელიც ქალაქის საქმეების გამო, უმთავრესად კი ქალაქის საობლიგაციო სესხის თაობაზე იყო წასული. ახლო მომავალში, ქალაქის თავი საბჭოს წარუდგენს ამ საქმის მოხსენებას. საბჭომ უნდა მცირეოდენი ცვლილება შეიტანოს სესხის საკითხში.

✦ **კავკასიის სამოქალაქო საინჟინერო მმართველობამ** სამხედრო გუბერნატორს თხოვნით მიმართა, განკარგულება მოახდინოს, რათა წარუდგინონ ხსენებულ უწყების ნამდვილი ცნობები წრევანდელ მოსავლისა ბათომის რაიონში და აგრედვე ცნობა, თუ რა და რა ფასებში იყიდება ხორბლეულობაო. ეს ცნობები ჯარის სურსათის საყიდლად სჭირდებათ

✦ **ბეითალი ბ-ნი ჩხენკელი** ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის საყასბოში საქონლის კვლამ დიდათ დაიწიაო, 1909 წლის პირველ 8 თვეში დაკლულა 8138 ცხვარი, 1910 წ. 6868 და 1911 წელს—4513. ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ არტაანიდან და ყარსის ოლქიდან ცხვარს ტფილისსა და ბაქოსაკენ ერეკებიანო.

„ბათ. გაზ.“

## პროვინცია

✦ **სოფ. ეგუეთი** (გორის მაზრა). დავით მარიამაძის სახლში, მის შინ არ ყოფნის დროს ექვსი შეარაღებული ოსი შესულა, მარიამაძის შვილს საბანი გადაიხურეს. შემდეგ მარიამიძისცოლს სიკვდილის მუქარით ფული მოსთხოვეს. წაიღეს 50 მან. ფულად, ორი ნიშნობის ბეჭედი, სხვა და სხვა ვერცხლეული. თოფის სროლით მთებისაკენ მიიმალნენ.

✦ **სოფ. ოჯალეთი** (თელავის მაზრა). ნიკოლოზ გიგაური ტყეში ხესა სჭრიდა. ვეებერთელა ხემ ქვეშ მოიყოლა და სასიკვდილოდ დააშავა.

# სევდის ცივ ღამეს

აი, აგრე... მოდი, დავსხდეთ, ნუ, ნუ ცელქობ. მოუ ჯი, კმარა...
ყური უგდე, ჩვენს სიყვარულს როგორ მოსთქვამს მთის ანკარა;

ხედავ, დრუბელს, ცის გუმბათზე ვარსკვლავებით ჰანგს რომ ჰქარგავს,
აბა, კარგად დაუკვირდი, შენს კბილთ-წყებას, შენს ხალს არ ჰგავს?

აგერ... აგერ... რით ვერ ხედავ? ამ წერტილს მიაშტერდი;
შეხე, მთვარემ რა ამაყად გადიშალა ძუძუ-მკერდი.

ჩუმად მითხარ, საიდუმლოდ, ჩუმად მითხარ, ნაზად, წყნარა,
როგორ იყო ტყის ნიავმა კოცნის ბგერა რომ მოგპარა?

რად გახველებს, გენაცვალე! ნუ თუ?.. ნუ თუ?.. შენც შეგცივდა?
რისთვის შეკრთი? ვაი ჩემს თავს... განა ცრემლიც გადმოგცვივდა?

მივხვდი, გიჟო, ეგ ცრემლები სწორედ იმის მიზეზია,
რომ არ გიყვარს ლექსთა-მთქმელის, მუსიკა და პოეზია.

ი. გრიშაშვილი.

# ალალი და არამი

(ხალხური ზღაპარი, ჩაწერილი სოფ. ქვემო-ხანდაკში გიგლა გურგენაშვილის გადმოცემით).

გზაზე შეჰხვდა ერთი კაცი მეორეს, მიესალმნენ ერთმანეთს. დასხდნენ ხის ქვეშ დასასვენებლად და დაუწყეს ერთი-ერთმანეთს ვინაობის გამოკითხვა. ერთს მათგანს ერქვა ალალი, მეორეს-კი—**არამი**. ჩამოაგდეს ლაპარაკი იმაზე თუ, რომელი გზა უფრო სახეიროა ამ წუთისოფელში: ალალი თუ არამი; რა უფრო გამარჯვებულია ცხოვრებაში ამ ქვეყნად: სიმართლე თუ სიმრუდე. ალალი სიალალ-მართლეს ირჩევდა, არამი-კი სიმრუდესა და უსამართლობას. შეხირდნენ. იმ ჟამად იქ არავინ შეესწროთ, რომელსაც შესძლებოდა იმათი დავის გადაწყვეტა.

— აი, ძმობილო, — მიუბრუნდა არამი ალალს, — რამდენიც უნდა ვიჩხუბოთ მე და შენ, ჩვენი ლაპარაკიდან არაფერი გამოვა. დავნაძლევდეთ: მე მაქვს ოთხმოცი თუმანი ჩემი გზით ნაშოვნი...

— მე კიდევ ოცი თუმანი—ჩემი ალალი გზით შეძენილიო, ჩამოართვა ლაპარაკი ალალმა.

— ძალიან კარგიაო, განაგრძო, არამმა,—მაშ, დავნაძლევდეთ, გაუდგეთ გზას და ვინც შეგვხდეს, იმასა ვკითხოთ, რას ირჩევს თვითონ ამ ქვეყნად: თუ ვინიცობაა ალალი ირჩია, მაშინ ჩემი ოთხმოცი თუმანი შენთვის დამილოცნია, თუ— არამი, ეგ შენი ოცი თუმანი ჩემი იყვესო.

ალალს ამის წინააღმდეგი რა ეთქმოდა!

— კეთილი და პატიოსანიო, უპასუხა ალალმა; adgნენ და გაუდგნენ გზას.

გაიარეს ცოტა, ბევრი ლოდინი არ დასჭირდათ და შეხვდათ ერთი პატარა, მალხაზი, ბიჭი. დააყენეს. მიუახლოვდა ალალი; ალერსიანად გადაუსო მხრებზე ხელი და ჰკითხა;

— აბა, მითხარი, ბიჭუნი, რა უფრო კარგია: ალალი თუ არამი?

— ჰერია, ბიძაჩემო! დაბერებულხარ და ეგეც არ იცი, რომ არამი მუდამ სტოვებს ალალსა?! — უპასუხა პატარა ბიჭმა ხელის ჩაქნევით.

საბრალო ალალი სახტად დარჩა. ცალკე ოცი თუმნის წაგება აწუხებდა და ცალკე ის, რომ ბავშვმაც კი არამი ამჯობინა ამ ქვეყნად. არამს კი ბიჭის პასუხზე სიამოვნებით გაეღიმა და უთხრა ალალს:

— ჰა! როგორა ხარ გუნებაზე? აბა, გვიბოძეთ სანაძლეო!

ალალი შეეხვეწა—შენი ჭირიმე, არამო, ცოლ-შვილის ხარჩო-საბადებელი რის ვაი-ვაგლახით, წვითადა დაგვით ნაშოვნი ოცი თუმანია და ერთი კიდევ ვკითხოთ ვისმესო.

არამი დასთანხმდა და ისევ გზას გაუდგნენ.

შემოხვდათ ხანში შესული კაცი. ჰკითხა ალალმა და იმანაც არამი ირჩია.

ალალმა სთხოვა არამს:—ცოლშვილს ჯულს ნუ გამომიჭრი და ერთი კიდევ ვკითხოთო, ამაზედაც დასთანხმდა არამი.

მოდის მწარედ დაღონებული ალალი და თვალებში ათასი უბედურება ებლანდება. ამ მწუხარებაში იყო, როცა მას ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. თავი აიღო, და დაინახა ჯვარ-მენდლიანი, ღრმად მოხუცებული მღვდელი ცხენით, იმის დანახვაზე წამს ბნელი ნათლად გადაექცა, იფიქრა: ეს ხომ მღვდელია—სულის მამა, ამასთან, როგორც ჩანს, უბრალო მღვდელი არ უნდა იყოს; უსათუოდ ან ბლაღოჩინი და ან უფრო მეტი რამ იქნება; ვკითხამ; ეს ხომ სისწორეს იტყვისო. მივიდა, მოწიწებით ქუდი მოიხადა, შენდობა სთხოვა და ხელზეც ემთხვია.

— უკაცრავად, მამაო! უნდა გკითხოთ რამე, თქვენი ჭირიმეო. და იმასაც თავისი ჭირი შესჩივლა.

მღვდელმან ისევ ის უპასუხა, რაც სხვებმა და კიდევაც დაუმატა: „ცხოვრებაში ალალი გზით ვის რა მოუგია, რომ შენ მოიგოვო. ამ რიგად მღვდელმაც-კი არამი ამჯობინა ალალს.

რას იზამდა ალალი? იგრძნო თავი დამარცხებულად; ადგა და ხმა ამოუღებლივ გადასცა არამს წაგებული ოცი თუმანი, მწარე ოფლით შეძენილი.

— აკი გეუბნებოდი, რომ ალალს ამ ქვეყნად ადგილი არ აქვს მეთქი, უთხრა არამმა ნიშნ-მოგებით,—მშვიდობით! იარე შენის გზითაო! და ამ სიტყვებით განშორდა ალალს.

მოდის ალალი ყურებ ჩამოყრილი, დამარცხებული:

— რა ვქნა! რა წყალში გადავარდე და ცოლშვილს რაღა თვალით ვეჩვენო? ფიქრობს თავისთვის. ამ შავ-ბნელ ფიქრებით მოცული სწორე გზას ასცდა და ერთს უდაბურ და გაუვალ ტყეში შეერია, საღამოც ახლოვდებოდა; ჩქარა დაღამდა კიდეც. აქეთ ეცა ალალი, იქით ეცა, მაგრამ ვერა და ვერ გაიკვლია გზა. ცალკე სიმშილით შეწუხებულმა, ცალკე ხეტიალით დაქანცულმა, ის იყო ერთი ხის ძირას მიგდება დააპირა, რომ უცბად სიბნელეში შუქმა შეითამაშა ფოთლებ შორის. ალალმაც იქით გასწია. ცოტა ხანს მერე მიადგა ერთს სახლის კარმიდამოს. მიათვალიერ-მოათვალიერა, მაგრამ სულდგმულის ჭაჭანება არ ისმოდა, მივიდა სახლთან, გადაიხედა ფანჯარიდან ოთახში, იქაც საშარისებული სიჩუმე იდგა. შევიდა შიგნით და რასა ხედავს: გაშლილია მშვენიერი სუფრა და გამაბრუებელი სუნი სდგას. დარწმუნდა რა, რომ მას არავინ უყურებს დაუწყო ჭამა. ამ სიამოვნებაში იყო, რომ ერთბაშად გარედან ფეხის ხმაურობა და ლაპარაკი შემოესმა.

რა უნდა ექნა! გაექანა და წალოში [1]) შეძვრა. გაიღო კარები და ოთახში სამნი შემოვიდნენ.

— აბა, მიამბეთ, ვინ რა ჰქენით დღეს, რამდენი ცოდო-ბრალი დათესეთ ქვეყანაზე?—მიუბრუნდა ერთი მათგანი ამხანაგებს.

— შენ უფროსი ხარ და ჯერ შენ გვიამბეო,—უპასუხეს მათ.

— მე მხოლოდ ერთი ცოდვა დავთესე და მაგდენად ვერაფერიო, სთქვა უფროსმა და მოუყვა, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს ალალი და არამი, როგორ მოუვიდათ შეხირება იმაზე, თუ რა სჯობიან: ალალი, თუ არამიო და როგორც დანაძლევდნენო.

1) წალო კედლის განჯინაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუთაისის თავ.-აზნაურთა კრება

10 ენკენისთვეს, ფულის მიღების შემდეგ, ბრწყინვალე წოდება ქალაქის თეატრში შეიკრიბა თ-დი დ. კ. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით.

**თ-დი ნიჟარაძე** თავმჯდომარეობაში არ არის გამოცდილი და წინადადებები სტოლიპინის ხსოვნის პატივსაცემად ფეხზე წამოდგომისა, ამ ნაირივე წინადადება განსვენებული დ. სარაჯიშვილის შესახებ გაუბედავად წარმოსთქვა. გარდა განსვენებულითა პატივისცემისა, თავად-აზნაურობამ, თავმჯდომარის წინადადებით, უქვეშევრდომილეს დეპეშის გაგზავნის წინადადება მიიღო და შეუდგნენ მორიგ საქმეებს, რომელთა რიცხვი ბევრი არ აღმოჩნდა.

**მდივანმა** წაიკითხა ნამესტნიკის კანცელარიის ქაღალდი, რომელშიაც აღნიშნულია წინად არჩეულ კანდიდატების თ-დი დ. ო. ნიჟარაძისა და თ-დ ს. გ. წერეთლის დაუმტკიცებლობის მიზეზი. თ-დ ს. წერეთლის შესახებ ნათქვამია, რომ უმაღლეს პატიების შემდეგ, იგი თავად-აზნაურობას ჯერ თავის წრეში უნდა მიეღო და თან თანამდებობაზე არჩევის ნება უნდა მიეცა და მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მისი არჩევა, უამისოდ იგი დაუმტკიცებელი დარჩაო.

**თავმჯდომარემ** წინადადება მისცა კრებას, გადასაწყვეტ საგანზე აზრი გამოეთქვა.

რადგან არავისთვის არ იყო საიდუმლო, რომ თ-დი წერეთელი თ-აზნაურთა წრეში მიღებასთან ერთად ყუთსაც დაადგამდა მარშლობაზე, კრება ჰოჰმანით შეხვდა წინადადებას და ერთი შეხედვით თითქო წინააღმდეგიც იყო მისი თავის წრეში მიღებისა, თუ იგი რომელიმე თანამდებობაზე (იგულისხმე მარშლობა) კენჭს იყრიდა; ამავე დროს ცალ-ცალკე წევრნი იმასაც აცხადებდნენ, რომ თავად-აზნაურობისათვის თავის დამცირება იქნება, თუ დიდი ხნის ნამსახურს კაცს ისეთს მდგომარეობაში ჩავაყენებთ, რომ ჩვენ წრეში მიღების დროს მუდამ მცირე შავ კენჭებს მივცემთო.

**თ-მა დ. ო. ნიჟარაძემ განაცხადა** კრების შეწყვეტის შემდეგ: საბუთი არა მაქვს თ-დი წერეთლის მადლიერი ვიყო; არაფერს ვიტყვი იმის თაობაზე, რა ზომებს მიმართა მან, რომ ჩვენს ორში, როცა მარშლის კანდიდატად ვიყავით არჩეული, ერთი უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუწყნარებლათ მიმაჩნია ის აზრი, რომ თ-დი წერეთელს უარი ვუთხრათ ჩვენს წრეში მიღებაზე. სულ სხვაა თუ იგი არჩევასაც მოინდომებს. ამ შემთხვევაში ყველა ჩვენთაგანი თავისუფალია. კითხვა ასეა დაყენებული: ჯერ ჩვენ კენჭას ყრით ჩვენს წრეში უნდა მივიღოთ და მერე იმ საგანზე უნდა ვყარ ით კენჭი - მივცეთ თუ არა არჩევნის უფლება.

**თავმჯდომარე.** პირველი კითხვა მეორის გადამწყვეტია.

**თ-დი ნიჟარაძე.** თუ მაგრე დააყენეთ კითხვა, მე უარს ვამბობ ჩემს განცხადებაზე.

შეიქმნა კენჭის ყრა და 75 ხმით წინააღმდეგ 23 ხმისა, თ-დი წერეთელი ქუთაისის თავად-აზნაურობამ კვლავ მიიღო თავის წრეში.

კრებას ამის შემდეგ რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თხოვნა მოეხსენდა და წინამძღოლთა და დეპუტატთა გადაწყვეტილება ამ საგნის შესახებ.

**ბ-ნი დ. ჯაფარიძეს** პოლიციელი გაულახია და ამისთვის სასამართლოს ორი თვის საპყრობილე გადაუწყვეტია. ბ-ნ დ. ჯაფარიძეს აღუძრავს შუამდგომლობა, რომ არაჩვეულობრივმა კრებამ ითხოვოს მისი ამ სასჯელისაგან განთავისუფლება. თხოვნა დადასტურებულია წინამძღოლთა და დეპუტატთა განჩინებით და კრება პირდაპირ კენჭის ყრას შეუდგა.

კრებამ შეიწყნარა ბ-ნი ჯაფარიძის თხოვნა და მეორე კრება მომავალ კვირისათვის დანიშნა, როცა მარშლების არჩევა მოხდება.

როგორც ხმა დადის, მარშლების არჩევანის საქმე გართულებულია გუბერნატორისაგან მიღებულ ქაღალდით, საცა იგი აცხადებს თურმე, რომ თ-დი დ. ო. ნიჟარაძის საქმე იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც წინა არჩევნების დროს იყო და ამიტომ თ-დი ნიჟარაძე, ვიდრე მისი საქმე სენატში არ გათავდება, მარშლობაზე კენჭს ვერ იყრისო.

ძნელი სათქმელია, რასაკვირველია, რა თვალით შეხედავს ამ მოწერილობას კრება, მაგრამ, ხმებს თუ უგდო კაცმა ყური, ერთი ნაწილი კრებისა მას ანგარიშს არ გაუწევს და თ-დ ნიჟარაძეს სთხოვს, მიუხედავად გუბერნატორის მოწერილობისა მარშლობაზე კენჭი იყაროს.

ვნახოთ რას გვეტყვის ხვალინდელი დღე.

—● გამოვიდა და იყიდება ●—

არჩილ ჯორჯაძის თხზ.

მე-III წ. „ნააზრევი"

ფასი 65 კაპ.

პროვინციის აგენტებს ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგზანონ საკვიტანციო წიგნაკების ყუა და მიღებული ფული, რომ წიგნები გავუგზავნოთ დასარიგებლად ხელის მომწერთათვის.

ხელის მომწერთ წიგნები უნდა მოიკითხონ იქ, საცა მოაწერეს ხელი. (8—1)

# სტოლიპინის მოკვლის გამო

**სტოლიპინის უკანასკნელი წუთები.**

განსვენებულ სტოლიპინის ძმა ალექსანდრე არკადის ძე მის სიცოცხლის უკანასკნელ წუთების მოწმე იყო. „განსვენებულიო,—უთქვამს,—სიკვდილის წინ რაღაც ქაღალდის ხელის მოწერა უნდოდა. საწერ-კალამი მოითხოვა. მისცეს კალმის ტარი. „უკალმოდ ვინ იძლევა კალმის ტარსა?"-იკითხა მან. კალამი მისცეს და სტოლიპინმა თავისი გვარი მოაწერა. სიკვდილის წინ მან წამოიძახა: „აანთეთ... გააჩაღეთ... სინათლე... სინათლე..." მაღლა ამწიეთ... მაღლა!" და სული განუტევა.

**ბურცევის აზრი.**

ვ. ლ. ბურცევი უცხადებს, სარწმუნო წყაროებიდან ცნობები მაქვს, რომ ბაგროვი სოციალისტ-რევოლიუციონერთა არც ერთს მებრძოლ ორგანიზაციას არ ეკუთვნისო. ბურცევი უარჰყოფს ხმებს, ვითომც პარიზში სოციალისტ-რევოლიუციონერთა კონფერენცია ყოფილიყოს რუსეთის დელეგატების მონაწილეობით. ამ კონფერენცის ტერორის საკითხიც წამოაყენაო ყველა ეს, ბურცევის ცნობით, ტყუილია. მარტში საზღვარ-გარეთის ორგანიზაციების კრება იყო და მას არც რუსეთიდან დასწრებია ვინმე, არც ტერორის საკითხი წამოუყენებიათ.

**ბაგროვის მამის დაპატიმრება.**

ბაგროვის მამა, ნაფიცი ვექილი, რომელიც საზღვარ-გარედიდან მოდიოდა, საზღვარზე დაატუსაღეს და კიევს ჩამოიყვანეს.

**დამცველ პოლიციის მოქმედება.**

„კიევლიანინი" იტყობინება, სახელმწიფო სათათბიროში აზეფის შეკითხვა რომ შეიტანეს, სტოლიპინმა მოწერილობა დაუგზავნა, რომელშიაც მთავრობამ ეგრედ წოდებული „თანამშრომლები" მხოლოდ რევოლიუციონერთა მოქმედების გამოსამჟღავნებლად უნდა მოიხმარითო და არასოდეს ვინმეს დასაცველადო. ამის გამო ჰკვირობენ, დამცველ პოლიციის „თანამშრომელი" ბაგროვი სტოლიპინის მკვლელად როგორ დანიშნესო. „კიევლ." სწერს, ბაგროვი სტოლიპინის ნებადაურთველად შეუშვეს თეატრშიო. ამნაირად მისი ცირკულიარი, რომელიც თავის დღეში არ უარუყვია, დაარღვიესო.

**კურლოვის გადადგომა.**

პეტერბურგში მიღებულ ცნობების მიხედვით, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის გენ. კურლოვის გადადგომის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია.

**პოდპოლკოვნ. კულიაბკო.**

კიევის დამცველ პოლიციის უფროსი კულიაბკო სამსახურიდან გადააყენეს. მის მოვალეობას მისი თანაშემწე როტმისტრი კომაროვი ასრულებს.

ნ. ნ. კულიაბკო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ბაგროვისთვის რევოლვერი მას მიეცეს.

**სტოლიპინის უკანასკნელი დღეები.**

სტოლიპინის მოყვარეთა და მეგობართ ძალიან უკვირდათ, როგორ მუშაობს სტოლიპინი გულმშვიდათ, როდესაც თითქმის ყოველ წუთს სიკვდილს უნდა მოელოდესო. სტოლიპინი თურმე ამბობდა ყოველ დილას, გაღვიძებისას. ჰომავალ დღეს, როგორც უკანასკნელს ისე ვუცქერი, მზადა ვარ თვალნი მაღლა მივაპყრო და ისე ვიმუშაო. საღამოზე ჩემს ოთახში რომ ვბრუნდები, მადლობასა ვწირავ ღმერთს ერთი დღის სიცოცხლის მინიჭებისათვის.

აფთიაქის კუნძულზე აფეთქების შემდეგ სტოლიპინმა, თურმე, მაშინდელ სახელმწიფო კანტროლიორს შვანებახს უთხრა: დიდ შეცდომა ჩავიდინე, უბის წიგნი არ გავაჩინე, რომ ჩემმა სიკვდილმა არევ-დარევა გამოიწვიოსო. ამას უეჭველად მოვახერხებო შემდეგისათვის.

# უცხოეთი

**გერმანიისა და საფრანგეთის მოლაპარაკება,**

გერმანელთა და ფრანგთა მოსარიგებელი პირობები განსხვავდება. მაგალითად, კიდერლენ-ვეხტერმა კამბონს განუცხადა გერმანიას უფლება უნდა ჰქონდეს თქვენს დამოუკიდებლად იმოქმედოს მაროკოში, სულთანთან პირობის დადების ნებაც უნდა ჰქონდეს, მხოლოდ ეს პირობები მერე საფრანგეთს უნდა შეატყობინოსო. ამის გარდა, გერმანია ესპანიასთან მოლაპარაკების უფლებასაც თავისთვის იტოვებს. ესპანიასა ჰსურს გავლენა არ დაჰკარგოს მაროკოს ზოგიერთ კუთხეში მაინც. ყველა ეს მოთხოვნილება საფრანგეთის მაროკოში თავისუფალ მოქმედებას სურვილს ძლიერ ეწინააღმდეგება. ამნაირად, ჯერჯერობით მორიგების ლაპარაკი ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

„დეილ ტელეგრ." კორესპოდენტმა ლონდონს შეატყობინა, გერმანიის პასუხი იმიტომ დაგვიანდა, რომ ბერლინის ელჩმა ჟულ კამბონმა უარი სთქვა ნოტის მიღებაზე,—საფრანგეთის მოთხოვნილებას სრულიად არ აკმაყოფილებსო. ელჩმა კიდერლენ-ვეხტერს ურჩია, ნოტა გადაათვალიერეთო. გერმანიამ დაუთმო. მან საერთაშორისო კომისიის დაარსებაზე უარი სთქვა. ამ კომისიას უნდა გაერჩია ხოლმე ყველა ხელშეკრულება, რომელიც მაროკოში სადაოდ იყო და საზოგადო საქმეს შეეხებოდა. ერთი რამ აბრკოლებთ: გერმანია საელჩოთა სასამართლოების დაარსებასა თხოულობს, თხოულობს აგრედვე მაროკოს მცხოვრებთა თავის მფარველობის ქვეშ გამოცხადების უფლებას. ყველა ამას საფრანგეთი ვერ ურიგდება.

ბერლინში ძლიერი აღელვებაა თურმე. ცხარე წერილმა „ლაფრანს მილიტერმა", სადაც მოთავსებულია დელკასესა და კლოტსის სიტყვა, ძლიერი აღშფოთება გამოიწვია პრესაში, რომელიც ამბობს, ეს განზრახ მოხერხებული საქმეა გერმანელთა გასარისხებლადაო. პანგერმანისტები მოლაპარაკების მოსპობას თხოულობენ, როგორ შეიძლება ამისთანა პირობებში ლაპარაკი, მაგით ხომ ერის თავმოყვარეობა ილახებაო. ფრანგთა მოყვარული „ბერლ. ტაგებლ." კი საფრანგეთის მთავრობას ურჩევს, ზომები მიიღე პრესის ასალაგმავად, რომელიც საქმეს ამწვავებსო.

ბერლინში ბანკებს აუარებელი ხალხი აწყდება, ფულის დაბრუნებასა და ძვირფას ნივთების გაყიდვას თხოულობენ. კურსის დაცემის შეფიქრიანებულმა „ეროვნულ ბანკის" დირექტორმა სამინისტროს მიმართა, გვირჩიეთ რამეო. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ციმმერმანმა განაცხადა, მაროკოს საკითხი ორ-სამ დღეში გადასწყდებაო. ამ განცხადებამ ხალხი დაამშვიდა.

პრესა გაკვირვებულია, სამინისტრომ ვის განუცხადა მართალი,—ბანკის დირექტორთ, თუ „ვოლფის სააგენტოს", რომელსაც უთხრა, გერმანიამ დათმობის გზა დასტოვა და მტკიცედ დაიცავს თავის მოთხოვნილებასაო.

ბრიუსელში მუშებს დიდი კრება ჰქონდათ და ომის საწინააღმდეგო დადგენილება გამოიტანეს. ვიომებთ მხოლოდ უკიდურესს შემთხვევაშიო.

**ესპანია.**

ესპანიაში არეულობა ხდება. ამის გამო მადრიდში ბევრს აპატიმრებენ და ქუჩაშიაც მცველი რაზმები დადის.

ვალენსიაში ხალხსა და ჯარშეტაკება მოუხდათ, რომელიც სისხლის ღვრით გათავდა. ბევრი დაიჭირა, ხალხი ყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკასო".

კადიკსა და კორუნიაში გაიფიცეს.

ბევრი გაზეთი მისცეს სამართალში.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 სექტემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**ოვიედო.** საერთო გაფიცვა დაიწყო. მუშაობა ყველგან შეჩერებულია. ჯარი მივიდა.

**მელილია.** 7 ენკენისთვეს, სადამოს, დაესხნენ ესპანიის მოწინავე პოზიციებს, კერტის მარჯვენა ნაპირზე. დამცემნი მოიგერეს. ესპანელებს 8 სალდათი მოუკლეს, 10 ოფიცერი და 38 სალდათი დაუჭრეს.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანცაიგერ" რომიდან იტყობინებენ: საზოგადოების აზრი მთავრობას ტრიპოლიში გადმოსვლის განმტკიცებას ურჩევს. იტალიის ორ კორპუსს საომრად ამზადებენ. ფლოტის მობილიზაციის საქმე ყან მიდის. განზრახვა აქვთ, ოსმალეთის ტრიპოლიში გარნიზონის გაძლიერებას ხელი შეუშალონ. თუ ოსმალეთა ზავს არჩევს, იტალია ტრიპოლის ჯამთვიდგას აპირებს. ამ საგმის თაობაზე მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა.

**მადრიდი.** კანალეხასმა განაცხადა, საკონსტიტუციო გარანტიები უნდა შეჩერდეთ, რადგან მთავრობას ჰსურს მუშათა ის კავშირი დახუროს, რომელსაც ანარქისტული ხასიათი აქვსო.

**პარიზი.** „ტანის" ცნობებით, სამინისტროს საბჭოს მიერ დღეს მოწონებული გერმანიის წინადადება ახალს საკითხსა და უთანხმოებას ვერ აღძრავს, თუმცა ჰფიქრობენ პირობების გარკვეულად ჩამოყალიბებას.

**რამბულიე.** მინისტრთა საბჭომ, რომელსაც ფალიერის თავჯდომარეობით სხდომა ჰქონდა, მოიწონა გერმანიის ნოტის პასუხი.

**ხანკოუ.** დიტვინიდგის ხიდის ქარხანა დაიწვა. ბევრი ხიდი გაფუჭდა.

**პარიზი.** დურგლთა, ზეინკლთა და ოქრომჭედელთა ომის საწინააღმდეგოდ გამართულმა პირველმა კრებამ მშვიდობიანად ჩაიარა. სენის დეპარტამენტში სინდიკალისტნი და სოციალისტნი მე-31 კრებას ჰმართავენ.

**სტამბოლი.** იემენის ახლო აღბანელთა ბრბო ჯარს დაეცა. 150 აღბანელი მოჰკლეს. დანარჩენნი გაიქცნენ.

11 სექტემბერი.

**რომი,** როგორც გაზ. „ტრიბუნას" იტყობინებენ ტრიპოლის უცხოელთა შორის დიდი შიშიანობაა, ვაი თუ იტალიელთა დარბევა მოხდეს, რადგა საომრად გამზადებული ოსმალთა საზღვაო გემები მოდიან. იტალიელებმა მთავრობას დახმარება სთხოვეს. „ტრიბუნა" დასძენს, იტალიის მთავრობას თავის ქვეშევრდომთა დასაცავად საკმაო ძალა აქვსო.

**ლონდონი.** მოტეხილ-ალის დატყვევებისა არა ისმის რა.

**თეირანი.** სალარ-ედ-დოულეს ჯარი ქალაქს 75 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა. სარდარ მოჰტეშამ ბახტიარული და ეფრემი სპარსეთის მის დასახვედრად წავიდნენ.

**პარიზი.** სოციალისტ-სინდიკალისტთა კრებას 15.000 მანიფესტანტი დაესწრო. კრება სიძვირისა და ომის საწინააღმდეგოდ იყო გამართული. წესიერებას პოლიცია და ცხენოსანი ჯარი იცავდა. წესიერება არ დარღვეულა.

**რუსეთი.**

**კიევი.** განაჩენი ბაგროვის შესახებ დაამტკიცეს.

**ეკატერინოსლავი.** გაიხსნა სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა, რომელიც გამოფენილ ნივთებით მდიდარია.

**ვერნი.** 8 სექტემბერს 8 საათს 50 წუთს მიწის ძვრა იყო, რომელიც 22 დეკემბრისას ძლიერ ჰგავდა. ზოგიერთ სახლები დაზიანდა.

**ბაქო.** სპარსელი ყაჩაღები მოსაზღვრე დამცველ რაზმს დაეცნენ. სროლის დროს ერთი დარაჯი დასჭრეს და ცხვრის ფარა გაირეკეს.

**კიევი.** დამცველ განყოფილების სარევიზიოდ სენატორი ტრუსევიჩი ჩამოვიდა.

**პეტერბურგი.** კოკოვცევი მინისტრთა საბჭოს თავჯდომარედ დანიშნეს. იგი ისევ ფინანსთა მინისტრად, სახელმწიფო საბჭოს წევრად, სენატორად და სტატს-სეკრეტრად დარჩება.

**ქოლერა.**

**ტომი.** მდინარე კონდომას ბენზინის აფეთქების გამო 4000 ფუტ. სიმაღლიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

(*)

**ასტრახანი.** საგანაოში შავმა ჭირმა ორი მოჰკლა. ავად 4-ა.

**ვერნი.** ჩერიკოვის ოლქში, 31 აგვისტოს, შავის ჭირით ერთი გახდა ავად.

**სიმბირსკი.** ერთის სოფლის განმავლობაში ხოლერით ავად 1 გახდა, 4 გარდაიცვალა.

**ასტრახანი.** 9 სექტემბერს საგანაოში შავი ჭირით გარდაიცვალა სამი, ერთი ავადაა.

# თეატრი და ხელოვნება

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ დაახლოვებით უკვე შეადგინა დასი. ჯერ-ჯერობით ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს: ქ-ნთ ნ. დავითაშვილმა, ე. ჩერქეზიშვილმა, კარგარეთელმა, ლეჟავამ, საგინაშვილმა და ქილარჯიშვილმა. ბ-ბმა: ვლ. მესხიშვილმა, ვ. აბაშიძემ, ვ. გუნიამ, შათირიშვილმა, არადელმა, მგალობლიშვილმა, ციციშვილმა, მატარაძემ, გვარაძემ და სხვა. რეჟისორებად არიან ბ-ნი: მესხიშვილი და შათირიშვილი. გარდა ამათ გამოსაცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის სურვილი განუცხადებიათ 4 ქალს და 6 კაცს. ასე რომ ამათგანაც შეავსე

---

— წამოველი და ჯერ პატარა ბიჭუნათ მოვეჩვიე გზაზე-ო, განაგრძო უფროსმა, მერე—ხანში შესულ კაცად, მერე—მღვდლების უფროსად; მკითხავდა—ალალი რა სჯობიანო, და სამივეჯერ არამი ვამჯობინე, რასაკვირველია, ალალს სანაძლევო წავაგებინე; მიწასთან გავასწორე და არამი გავამარჯვეო. გაათავა უფროსმა.

ამის გაგონებაზე წალოში მჯდარმა ალალმა სთქვა თავისთვის: „დახე ამ წყეულებს! ტარტაროზები არა ყოფილანო!".

უნცროსმა ტარტაროზებმა მოუწონეს უფროსს:

— მაგას ამოპდი, რომ ერთი ცოდვა ჩავიდინე და მაგდენად არაფერიო! ალალი დაგიღუპნია! ეს არის სწორედ თავი და თავი ცოდვაო. და სიხარულით ხტუნაობას და ტაშის კვრას მოჰყვნენ.

— აბა ახლა თქვენ მითხარითო, —მიმართა უფროსმა ტარტაროზმა. ახლა შუათანამ უამბო.

— მე ამ ქვეყნის ხემწიფეს შვილი ავად გაუხადე; ძალიან ვაწვალებ: არც ვარჩენ და არცა ვკლამ. იმის მაყურებელ ხემწიფესა და დედოფალს თავის ხორცს ვაგლეჯინებ თავიანთივე კბილებით. ვერას გზით ვერ მოარჩენენ; წამალი მხოლოდ ერთია: იმ მილიონ ფარა ცხვარში ერთ შავი ცხვარი ურევია ნიშნიანი, ის შავი ცხვარი უნდა დაკლან; იმისი გულ-ღვიძლი აჭამონ და იმ წამსვე ფეხზე წამოდგება-ო.

— უჰ! მაგას ვინ მიხვდება! შენც ძალიან გივარგნიაო,—უთხრეს ამხანაგებმა, და შემდეგ ყველაზე უნცროსმა ტარტაროზმა უთხრა:

— ემ ჰალის იქით პატარა გორა რომ არის, იქ ეყარა აუარებელი ხალასი ოქრო; ვსთქვი ექ ვინმე საწყალმა კაცმა არ იპოვნოს და უცბად არ გამდიდრდეს მეთქი; ავდექი იქავე გავსთხარე დიდი ორმო და შიგ ჩავყარეო.—ამასაც მოუწონეს ეს საქციელი. შემდეგ დასხდნენ და მხიარულად ვახშმობა დაიწყეს. გაათავეს ვახშამი, ადგნენ და გამოვიდნენ კვლავ ცოდვა-ბრალს სათესად ქვეყნად.

ალალს ყველაფერი კარგად ესმოდა. შუაღამე კარგა იყო გადასული, როცა ალალი ჯერ ხემწიფისაკენ გაეშურა. ბევრი ხეტიალის შემდეგ, როგორც იყო გამოაგნო ჰალას და გავიდა სწორე გზაზე. მოვიდა სასახლეში და უთხრა კარის კაცებს, რომ ხემწიფის ნახვა მინდაო. კარის კაცებმაც მოახსენეს, ერთს გლახას თქვენი ნახვა უნდაო. მივიდა ხელმიფესთან და უთხრა:

გამხადეთ ღირსი თქვენი შვილის ექიმობისაო.

ხემწიფეს და მის ნაზირ-ვეზირებს გაუკვირდათ გლეხის სიტყვები. ხემწიფემ უთხრა: რაც კარგი ექიმები იყვნენ ჩემს სახემწიფოში სულ შევძარ, ისინი ვეღარას გამხდარან და შენ როგორ შეიძლებ ექიმობასაო. გლახა—ალალი მაინც თავისას ეუბნებოდა და ნიშანდობლივ კიდევაც უთხრა შავ ცხვარზე. გაგზავნეს კაცები და მართლაც აღმოჩნდა ის ერთი ნიშნიანი ცხვარი, როგორიზედაც ალალი უჩვენებდა. დაკლა ალალმა ეს ცხვარი, აჭამა მისი შემწვარი გულ-ღვიძლი და ისე გახდა ავადმყოფი ხელმწიფის შვილი თითქოს თავის დღეში არა სტკიებიაო. ყველა იქ მყოფი გაოცდა. ხემწიფემ დიდი მადლობა გადაუხადა, შვიდი ჯორ აქლემი დაუსაპალნა თვალმარგალიტით და ისე გამოისტუმრა ალალი. მოვიდა ალალი სახლში, დასცალა საპალნე და მერე გასწია იმ გორისაკენ, საცა ტარტაროზს ხალასი ოქრო დაეფლა. ამოიღო ეს ოქროც და იმ შვიდი ჯორ აქლემით წამოიღო სახლში. ჩასჭიმა ალალმა ოქროს სასახლე და სულ თვალ-მარგალიტით მოსჭედა. გავარდა ქვეყანაზე ალალის სიმდიდრის ხმა და არამის ყურებამდინაც მიაღწია.—გაკვირდა არამი: როგორ და რა გზით მოახერხა ასე უცბად სიმდიდრის შეძენა ალალმაო". წამოვიდა ალალისაკენ, მოვიდა და ჰკითხა:

— კაცო! მაშინ ხომ ოცი თუმნის მეტი არა გქონდა, ისიც მე მოგიგე და ეს სიმდიდრე საიდან და რა გზით იშოვნეო?

— შენ არამულ გზით მომიგე და მე ალალი გზით შევიძინეო.—უპასუხა ალალმა.

ჩააცივდა არამი: გინდა თუ არა მითხარი სად იშოვნე და სად ეწიე ბედსაო, ალალმაც მიუთითა იმ ჰალაზე, საცა ყველაფერი ნახა და გაიგონა.

წამოვიდა არამი, შეერია ჰალაში, დაუღამდა. შუქი დაინახა, როგორც ალალმა, წავიდა შუქზე და ისევ ის ოთახი, ისევ ის სუფრა დახვდა, რაც ალალს. გამოძღა მაგრად არამი, ამ დროს შემოესმა ფეხის ხმა და არამიც წალოში დაიმალა. შემოვიდნენ ტარტაროზები, მაგრამ სიხარული აღარ ეტყობოდათ. შესჩივლეს ერთმანეთს. ჯერ უფროსმა ტარტაროზმა უთხრა წყენით.

— მაშინ რომ ალალის დაღუპვას გიამბობდით ეხლა იმის დიდებისა და გამარჯვების სახელი ქუხს ქვეყნადაო.

— ხემწიფის შვილიც მოურჩენია ვიღასაც, ის შავი ცხვარი უპოვნიათ იმ მილიონ ფარაშიო, სთქვა შუათანამ.

— ეს რა ამბავია ჩვენ თავს. ჩემი ჩაფლული ოქრო სულ წმინდად წაუღიათო, რა ვქნა, ყურს ხომ არავინ გვიგდებდა, მაშინ ლაპარაკის დროსაო?—დაუმატა უნცროსმა ტარტაროზმა და დაიწყეს აქეთიქით თვალიერება:

— ჰერია! ამ საჭმელსაც აკლია, ალბად არის ვინმე აქაო!—წამოიძახა უნცროსმა და სამივემ დაუწყეს ცხარე ძებნა თავის დამღუპველს. ბოლოს გამოაღეს წალო და ნახეს შიგ მჯდარედ ატრუზული არამი. გამოათრიეს, წაავლეს ფეხებზე თოკი: აათრიეს და ჩამოათრიეს ხევანზე; იმდენი ათრიეს, მანამ სული არ ამოხდა.

ამ რიგად დარჩა გამარჯვებული ქვეყნად ალალი და არამი-კი თავისივე ბატონების ხელით მოკვდა*).

სტ. ი. კარგარეთელი.

*) ამ ზღაპრის გადამჭედა ჩვენს დაუკითხავად არავის არ შეუძლიან.

სტ. ი. კარგარეთელი.

ზენ დასს. სეზონი დაიწყება 5 ოქტომბერს და ოთხი თვე გაგრძელდება. პირველად 5 ოქტომბერს დასდგამენ „ანტიგონას“ სიმფონიური ორკესტრით. „ანტიგონა“ პირველად ორის წლის წინად ვ. ქართველიშვილმა დასდგა და მაშინ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველი თვის რეპერტუარი უკვე შემუშავებულია. დაიდგმება „ანტიგონა“, „მოციქული“ ბორისა, „მსხვერპლი“ გედევანიშვილისა, „რევიზორი“ გოგოლისა, „მისს გობსი“ ჯერომისა, „სულელი“ ფულიესი, „ეროსი და ფსიხეა“ ჟულავსკისა და „სოფლის გმირები“ ირეთელისა.

## პასუხად გ-ნ იაკობ გოგებაშვილს

ჩვენც ვიცოდით და სხვებიც გვარწმუნებდნენ, რომ გ-ნ იაკობთან კამათი შეუძლებელია, ვიცოდით, რომ იგი თავის ნათქვამის დასამტკიცებლად ოფოფს კუკუსაც ათქმევინებს, მაგრამ მასთან კამათი მაინც გავბედეთ. ჩვენს წერილში არ იყო არც მუქარა და არც ერთი უზრდელი სიტყვა. ნაცვლად იმისა, რომ პატივცემულ იაკობს ჩვენი, უბრალო მომაკვდავის რჩევაც დაეჯერებინა და თავისი ლექსიკონი შეესწორებინა, მოგვდგა და ბრე გაგვადინა, თავისი შეცდომა აკაკის, „სათათბიროს“ მასწავლებელსა და ჩუბინიშვილს მოახვია თავზე. თუმცა ბ-ნმა იაკობმაც კარგად იცის, რომ „დედა-ენის“ ავკარგის შესახებ მხოლოდ ის არის პასუხის მგებელი და არა სხვა. არ ვიცნობთ „სათათბიროს“ მასწავლებელს, ვერ ვენდობით ვერც ჩუბინიშვილსაც, რომელსაც „Воля“ „მამალ ძროხად“ აქვს ნათარგმნი „Чинаръ“ — ალვის ხედ და სხვა. ვიცნობ აკაკის, მიყვარს მისი სხარტული ხალხური ენა და, თუ კი აკაკი თქვენს ლექსიკონზე ხელს მოაწერს და იტყვის, რომ ის სახელმძღვანელოდ სკოლაში შეიტანება, მაშინ მე თქვენს წინაშე „უჩინმაჩინის“ ქუდს მოვიხდი და მუხლ მოდრეკილი შენდობას გამოვითხოვ. ამის შემდეგ, ბ-ნო იაკობ, პირდაპირ პასუხს გაძლევთ. თქვენ სწერთ: „კვესი, ფოლადი რომელზედაც ტალით ან კაჟით აკვესებენ“.

ეს ახსნა არ არის. ბევრად ემჯობინებოდა, თუ იტყოდით: კვესი არის ფოლადის პატარა ნაჭერი, რომლითაც ტალზე ან კაჟზე აკვესებენ. თქვენი მეთოდით რომ კვესი ვიხმაროთ, მაშინ მარცხენა ხელით კვესი უნდა დავიჭიროთ და ზედ მარჯვენა ხელით ტალი ანუ კაჟი ვცემოთ.

ნიახურსა და ოხრახუშს შორის მცირე განსხვავება არისო, ბრძანებთ, ჩუბინაშვილი სინონიმებად სთვლისო. განსხვავება მაგ ორ ბოსტნეულს შორის იმდენია, რამდენიც ჩემსა და პედაგოგ ვახტეროვს შორის. ამისთვის შორს რას მიბრძანდებით, პირველი მემწვანილე გეტყვით, რომ петрушка ოხრახუშია და сельдерей — ნიახური. თვით თქვენს მოწმე ჩუბინაშვილს 654 გვერდზე ასე აქვს ნათარგმნი. თუ მაინცა და მაინც სინონიმს ეძებდით, მაშინ ოხრახუშის სინონიმი არის მაკიდო, მაკიდონი. (ალბად მაკედონიელ ბერძნებს მოუტანიათ ჩვენში). რაიცა შეეხება მარგილს, მისა შეცდომით ახსნა თქვენც აღიარეთ, მხოლოდ ეგ არ კმარა. რასაც მარგილს ამერეთში ეძახიან, იმას იმერეთში უწოდებენ ორივე თავით წვეტიან მსხვილსა და მაღალ სარს, მესერს; რასაც ამერეთში სოლს ეძახიან, იმას გურიაში ეძახიან პალოს. აი სწორედ ამისთვის თქვენებური ახსნით ვერ დავკმაყოფილდით.

საზოგადოდ თქვენი ლექსიკონი „ამერ-იმერ ერთ აზროვანი სიტყვებისა, სინონიმებისა“ ძლიერ სუსტად არის შედგენილი. სიტყვების ახსნა ბევრად მეტია, ვიდრე სინონიმები. სინონიმები ჩვენ ასე გვესმის. მაგალითისთვის ვთქვათ. სკა—ჩვენ ამას ასე ავხსნიდით: სკა—ფუტკრის ბინა, ადამიანის მიერ გაკეთებული, სინონიმებად კი მოვიყვანდი გეჯას, როფს, ბიკვს, ბუკს, კოდს, კასრს, გოდორს, ბოყვს, ხოკერს. ამ რიგად არ გვაკმაყოფილებს არც ახსნა და არც სინონიმები. მოვიყვანოთ მაგალითი: „არნადი, ბზის მისახვეტი ავეჯი“. არნადი ავეჯი კი არა, იარაღია, ბზის მისახვეტად კი არა, იმერეთში მოთხრილი მიწის მისახვეტადაც ხმარობენ. ამერელი არნადით ხშირად ერთი კაცი მუშაობს, იმერულით კი აუცილებლად ორი. მაგრამ, რადგან ამ უბრალო იარაღით ბევრ საქმეს აკეთებენ, რასაც უმისოდ „ნადი“ (მამითადი) სჭიროდა, უწოდებიათ არნადი. „ბაკი, მრგვლად მოწნული ბინა საქონლისა“. ჩვენ ასე ვიტყოდით: ბაკი, ქალტა (იმერ., გურ. სინონიმია)—საზაფხულო ბინა საქონლისა. თქვენებურად რომ გავიგოთ, ბაკი აუცილებლად ყველამ უნდა მოწნას და ისიც რგვლად. ეს ასე არ არის. ბევრი მინახავს სამკუთხიც და შეშის ნაპობებით „შემორაგული“ ან „მესერ“ შემოვლებული. „ბაჭია — კურდღლის შვილი შვილი“ ჩვენ დავსძენდით: იმერული სინონიმით არის ბოცვერი, გურულით — კიკო.

„ბულრაობა, ხარ-კამეჩი (უნდა ხარი და კამეჩი) რომ მიწას სთხრის ფეხებითა და რქებით“. შემცდარ ახსნად მიგვაჩნია: ბულრაობა წარმოსდგება „ბულაობისაგან“. ბულაობა ნიშნავს საქონლის სქესობრივ აღტკინებას.*)

„თურაშაული, მოტკბილო და მსხვილი ვაშლია“. თურაშაულის ნიშნობლივი თვისება უფრო სიწითლეა. „სისხლივით წითლად გამოსჭვივის“ („დედა ენა“). „კოჭი, სათამაშო კორნატი“. ეს კორნატი რაღაა, არ ვიცით! „ლაპლაპი, უკომლო ალი ცეცხლისა“. ეგ რა არის, ამას საბაკეევიჩიც ვერ აგიხსნით.

გადაშალეთ „დედა-ენის“ 26 გვერდი და წაიკითხეთ „ორი სახნისი“. ერთს სახნისს ლაპლაპი გაჰქონდა. საწყალს ქვეშიდან ალბად უკომლო ცეცხი შეუკეთეს! „ლეში, მძოვრი, ასუნებული ხორცი“.

ლეში არის სიცოცხლე დაკარგული საქონლის სხეული—(ადამიანისაზე იტყვიან ცხედარი..) როცა ლეში გაიხრწნება, აყროლდება (და არა ასუნდება), მხოლოდ მერმედ ეწოდება მძოვრი.

„ნაპრალი, ვიწროდ გახეთქილი ადგილი (?)“ „სალტა, ლითონის ან ხის რკალი, შემოსაკრავი რისამე“.

რკალი ნახევრად მოხრილს ეწოდება, სალტა მრგვლად მოხრილია. მაგრამ ამას თქვენი პირი წაულია; გადაშალეთ „დედა ენის“ 193 გვერდი. იქ სამ ადგილას შეხვდებით ასეთს მაგალითს: „თამბაქოს სალტასთან მიზიდეს“—თამბაქოს წვენის სალტა, ვითომ არ ყოფილიყოს და სხ“. „საკვეთელი, გუთნის პირიანი რკინა, რომელიც სჭრის მიწასა“.

გუთანს ორი რკინა აქვს: სახნისი და საკვეთელი, ორივე პირიანია ორივე მიწას სჭრის. საკვეთელია გუთნის პირიანი რკინა, რომელიც სახნისს წინ მიუძღვის და მიწას უჭრის—უკვეთს. „ფიანდაზი, ძვირფასი გასაშლელი ხელმწიფის გასავლელად“. მგონი რომ ასე სჯობს:

ფიანდაზი, ძვირფასი ქსოვილი, რომელსაც საპატიო (მეფე დედოფლის ჯვარის წერის დროსაც ხმარობენ). პირის ფეხს ქვეშ დასაგებად ან ძვირფასი ნივთის დასადგმელად ხმარობენ.

„ქოცო, პატარა ქვევრი“. სინონიმ ჩართული ასე იქნებოდა:

ქოცო, პატარა ქვევრი, ხალამი,— დერგი (პატარა ქვევრს კი გურიაში ყუმარს ეძახიან).

„ჩიხრიხი, ბამბის კურკის სარჩევი მანქანა“. ჩიხრიხი ბამბის კურკის გასარჩევი კი არ არის, არამედ ბამბის კურკისაგან გამოსარჩევი მანქანაა. ამ მანქანით ბამბას აშორებენ, ალციან კურკას.—კურკისაგან სწმენდენ.

„წალამი, ჭილაბი, ვაზის გამხმარი ტოტი“. ვაზის ტოტს არ იტყვიან არც ამერეთში და არც იმერეთში, უნდა ვაზის ლერწი.

„ჭიგო, დიდი სარი“. ჭიგო მართალია, სარია, მაგრამ არა ლობის, არამედ ვენახის, რომელსაც იმერეთში სარდაფს ეძახიან.

„ჭადარი, ჩინარი, ძელ-ქუა“. აშკარა სიცრუეა. ჭადარი, ყველგან ჭადარია, ჩინარი უცხო სახელია ძელქუა (უფრო სწორედ ძელქვა) სულ სხვა ხეა, მუხაზე ბევრად მაგარი, რისთვისაც ძელ-ქვა უწოდებიათ,—ესე იგი ძელად (ფიცრად) ქვა არისო. ჭადარი კი რბილი ხეა. მაგრამ ჭადარიც და ძელქვაც მიწაზე იზრდება, ორივეს ფოთლები აქვს და ერთმანეთს ისე გვანან, როგორც ნიახური და ოხრახუში.

„ჩადრი, თეთრი, წამოსასხამი ქალისა, გრძელი და განიერი“. ჩადრი შეიძლება თეთრიც არ იყოს, ჩადრს უფრო ხშირად ხმარობენ თათრის ქალები არა მარტო წამოსასხამად; არამედ პირის დასაფარავადაც... ჭერა.

(დასასრული იქნება)

*) ამის დაწვრილებით ახსნა ბავშვებისთვის საჭიროდ არ მიმაჩნია.

## წერილი რედ. მიმართ

ბნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გადავუხადო ულრმესი მადლობა მხცოვანს პედაგოგს ბ. ი. გოგებაშვილს 26 მანეთად ღირებულ წიგნების გამოგზავნისათვის სოფლის მასწავლებელთა შორის დასარიგებლად.

მასწავლებელთა ჯგუფის მონდობილობით შილდის სკოლის მასწავლებელი დ. ძიძამიძე.


## გამოსადეგი ცნობა

ამით გაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას რომ ყოფილ პატრონს ს. ოჲ. ივანიცკის თეატრისას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს თეატრ „ლირა“-სთან, რომელიც მოთავსებულია მიხეილის ქ. დირექცია თეატრ „ლირისა“

(2—1500—1)

## განცხადებანი

### დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბეჟტიხანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ჰ. ზილბერმანცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ხ. ზილბერმანცი: 5—6 ნ.ს. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. გეევხკაია-ენგელი: 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარცამეცხკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—130)

### მუხრანის ქუჩა. სამკურნალო

გაიხსნა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს უღებენ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენაანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელის 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.) თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარას კევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—50 (0—103—140

### ◀ მშობიარეთათვის ▶

### თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—76)

### ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

### ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

### ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

### საბუღალტერო კურსები

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა. ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.14)

### ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## იყიდება შემდეგი წიგნები:

თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, . . . . ფ. 75 კ.

წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . . . . . ფ. 80 კ.

B a t o u-სა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ.

ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ლევანი“, 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 40 კ.

შიუკაშვილისა: „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.



(40—1466—1)

### ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## სავაჭრო ცოდნათა კურსები

### ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის.

კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და პიგიეს (პარიზში), მუსტერ-ლომტორიში. მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ.: 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება) 5. კომერციული კორესპოდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. სტენოგრაფია. 3. და ტიპოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.

კურსების დამაარსებელი საკომერციო მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ფილოიანი.

(1—1444—1)

### გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატექნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად.

(თ.—1084—26)

### სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

## ძმ. ძეგველოვების

### ● მ ა ღ ა ზ ი ა ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი დოში

◀ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მ. 20 კ.

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების სელიოდკები სამეფო, დუნაისა, რიგი ა და ქერჩისა.

(წ.—1051—)

## გაფრთხილება

### ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩაჩანებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ქლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლისგახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილი სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელი“ ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უქმვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისა და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическiй институтъ профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

## ავადმყოფებს

(Метцль и К-о. № 95425).

(12—1481—2)


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]